ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის
ოქმი № 11

ქ. თბილისი, 17 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი

სხდომას ესწრებოდა 24 ხმის უფლების მქონე წევრი

**დღის წესრიგი:**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/*

2. კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/*

3. კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/*

4. კურსდამთავრებულებისთვის დამატებითი სპეციალობის „პედაგოგიკა“ მოხსნის შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/*

5. ტურიზმის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტ **საბა ჟორდანიასთვის** 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/*

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ **ნესტან გაფრინდაშვილისათვის** სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:

სადისერტაციო თემა - **,,გარემოსდაცვითი ზეგავლენის ეკონომიკური ღირებულების შეფასების გამოწვევები საქართველოში"(საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასპექტით),** მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი;**

**ეკონომიკის** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ვალერიანე ჯოხაძე** სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:

სადისერტაციო თემა- **,,მოდელების რისკების შეფასება"**

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **პროფესორი იური ანანაიშვილი**

**ბიზნესის ადმინისტრირების** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **პეტრე ადამაძის** სადისერტაციო თემის ცვლილება. **„ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობა და მისი სრულყოფის გზები ორგანიზაციაში„** სახელწოდება ჩამოყალიბდეს: **„ორგანიზაციული კულტურის მართვის თანამედროვე მექანიზმები ქსელურ სასტუმროებში";**

**ბიზნესის ადმინისტრირების** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ქეთევან ღუდუშაურის** სადისერტაციო ნაშრომის-**,,ფინანსების კონტროლის ფუნქციის თავისებურებანი და განხორციელების პრობლემები თანამედროვე საქართველოში",** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ეკონომიკის დოქტორი იოსებ არჩვაძე)** შემფასებლის დამტკიცება;

*/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/*

7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვა

*/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/*

8. მიმდინარე საკითხები.

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით

**მოისმინეს:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის წერილი (№2841/10, 29.09.2023), რომლითაც ითხოვს თსუ ფოთის ფილიალის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნინო გიორგაძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტებას და დიპლომის დანართის მომზადებას. საქმისწარმოებისას აუცილებელი გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №55/01-01, 16.04.2014 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

ნინო გიორგაძის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო რეკვიზიტების დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად, მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული

წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა შემდეგი:

- პირად საქმეში არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ნინო გიორგაძე თსუ ფოთის ფილიალის დირექტორის 2004 წლის 30 აგვისტოს №17 ბრძანებით ჩაირიცხა ეკონომიკური ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე, თუმცა მითითებულ ბრძანებაში ნინო გიორგაძის გვარი არ არის დაფიქსირებული. ამასთან, აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ პირად საქმეში ინახება ამონაწერი თსუ ფოთის ფილიალის დირექტორის 2004 წლის 30 აგვისტოს №17 ბრძანებიდან, რომლიდანაც ჩანს, რომ ნინო გიორგაძე მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თსუ ფოთის ფილიალში ეკონომიკური ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე (თუმცა, ამონაწერში არ არის დაფიქსირებული ჩარიცხვის წელი). ასევე, პირად საქმეში არის ნინო გიორგაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს მისაღები გამოცდების ჩაბარების ნებას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე და საგამოცდო ფურცელი, საიდანაც ჩანს, რომ ნინო გიორგაძემ მისაღები გამოცდა „მათემატიკაში“ წერითი ფორმით ჩააბარა 2004 წლის 2 აგვისტოს, ხოლო „საქართველოს ისტორიაში“ ზეპირი ფორმით ჩააბარა 2004 წლის 8 აგვისტოს.

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნინო გიორგაძის სახელზე ბრძანების გამოცემის შესახებ“ რექტორის 2023 წლის 2 ნოემბრის №1121/01-04 ბრძანებით ნინო გიორგაძე ჩაითვალა 2004-2005 სასწავლო წელს ჩარიცხულად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის პირველ კურსზე.

- 2007 წელს დეკანატის მონაცემების საფუძველზე სტუდენტი ნინო გიორგაძე გადაყვანილი იქნა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის IV კურსზე (ბრძანება №10, 27.06.2007 თსუ ფოთის ფილიალი).
- 2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის დეკანატის მონაცემებისა და სემესტრული გამოცდების შედეგების საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტ ნინო გიორგაძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბრძანება №13, 28.09.2007 - თსუ ფოთის ფილიალი).

როგორც ცნობილია, თსუ-ს ფოთის ფილიალის ლიკვიდაციის პროცესი, სხვა ფილიალებთან ერთად დაიწყო 2007 წლის 23 ივლისიდან (რექტორის ბრძანება №65/01-01,20.07.2007). იმ მიზნით, რომ სტუდენტები არ დაზარალებულიყვნენ 2006-2007 სასწავლო წლის ზაფხულში დაინიშნა დამატებითი ზაფხულის სემესტრი, რომელიც დაიწყო 25 ივნისს და დამთავრდა 15 სექტემბერს (სააუდიტორიო მეცადინეობები) - რექტორის ბრძანება №57/01-04, 26.06.2007. კურსდამთავრებულ სტუდენტებს ხარისხი მიანიჭა ყოფილმა ფოთის ფილიალმა (წერილზე თანდართულ დოკუმენტებში არ ჩანს ხარისხის მინიჭების მექანიზმი). 2007 წლის კურსდამთავრებულ ფოთის ფილიალის სტუდენტების პირადი საქმეები ფაკულტეტისთვის არ გადმოუციათ. ჩვენთვის უცნობია, თუ რამდენად სწორად მოხდა სტუდენტებისთვის და მათ შორის ნინო გიორგაძისთვის ბაკალავრის ხარისხის მინიჭება).

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული საქმისწარმოებით დასტურდება ნინო გიორგაძის სწავლისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ფაქტი და რადგან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არ იძებნება თსუ-ს ყოფილი ფოთის ფილიალის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის დირექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად ამავე ფილიალის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვოს რომ განიხილონ თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნინო გიორგაძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის საკითხი და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და თსუ-ს ყოფილი ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნინო გიორგაძის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2007 წლის 28 სექტემბერი, ხოლო ნომრად №13/პ.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის დირექტორის მიერ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2007 წლის კურსდამთვრებულ ნინო გიორგაძის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და ნინო გიორგაძეს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მოღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2007 წლის 28 სექტემბერი, ხოლო ოქმის ნომრად №13/პ.

**მოისმინეს:** კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის*

*უფროსი მ. ჩავლეიშვილი/*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის წერილი (№2841/10, 29.09.2023), რომლითაც ითხოვს თსუ ფოთის ფილიალის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნინო გიორგაძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირებას. საქმისწარმოებისას აუცილებელი გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №55/01-01, 16.04.2014 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან დგინდება შემდეგი:

- პირად საქმეში არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ნინო გიორგაძე თსუ ფოთის ფილიალის დირექტორის 2004 წლის 30 აგვისტოს №17 ბრძანებით ჩაირიცხა ეკონომიკური ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე, თუმცა მითითებულ ბრძანებაში ნინო გიორგაძის გვარი არ არის დაფიქსირებული. ამასთან, აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ პირად საქმეში ინახება ამონაწერი თსუ ფოთის ფილიალის დირექტორის 2004 წლის 30 აგვისტოს №17

ბრძანებიდან, რომლიდანაც ჩანს, რომ ნინო გიორგაძე მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თსუ ფოთის ფილიალში ეკონომიკური ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე (თუმცა, ამონაწერში არ არის დაფიქსირებული ჩარიცხვის წელი). ასევე, პირად საქმეში არის ნინო გიორგაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს მისაღები გამოცდების ჩაბარების ნებას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე და საგამოცდო ფურცელი, საიდანაც ჩანს, რომ ნინო გიორგაძემ მისაღები გამოცდა „მათემატიკაში“ წერითი ფორმით ჩააბარა 2004 წლის 2 აგვისტოს, ხოლო „საქართველოს ისტორიაში“ ზეპირი ფორმით ჩააბარა 2004 წლის 8 აგვისტოს.

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნინო გიორგაძის სახელზე ბრძანების გამოცემის შესახებ“ რექტორის 2023 წლის 2 ნოემბრის №1121/01-04 ბრძანებით ნინო გიორგაძე ჩაითვალა 2004-2005 სასწავლო წელს ჩარიცხულად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის პირველ კურსზე.

- 2007 წელს დეკანატის მონაცემების საფუძველზე სტუდენტი ნინო გიორგაძე გადაყვანილი იქნა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის IV კურსზე (ბრძანება №10, 27.06.2007 თსუ ფოთის ფილიალი).
- 2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის დეკანატის მონაცემებისა და სემესტრული გამოცდების შედეგების საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტ ნინო გიორგაძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბრძანება №13, 28.09.2007 - თსუ ფოთის ფილიალი).

როგორც ცნობილია, თსუ-ს ფოთის ფილიალის ლიკვიდაციის პროცესი, სხვა ფილიალებთან ერთად დაიწყო 2007 წლის 23 ივლისიდან (რექტორის ბრძანება №65/01-01, 20.07.2007). იმ მიზნით, რომ სტუდენტები არ დაზარალებულიყვნენ 2006-2007 სასწავლო წლის ზაფხულში დაინიშნა დამატებითი ზაფხულის სემესტრი, რომელიც დაიწყო 25 ივნისს და დამთავრდა 15 სექტემბერს (სააუდიტორიო მეცადინეობები) - რექტორის ბრძანება №57/01-04, 26.06.2007. კურსდამთავრებულ სტუდენტებს ხარისხი მიანიჭა ყოფილმა ფოთის ფილიალმა (წერილზე თანდართულ დოკუმენტებში არ ჩანს ხარისხის მინიჭების მექანიზმი). 2007 წლის კურსდამთავრებულ ფოთის ფილიალის სტუდენტების პირადი საქმეები ფაკულტეტისთვის არ გადმოუციათ. ჩვენთვის უცნობია, თუ რამდენად სწორად მოხდა სტუდენტებისთვის და მათ შორის ნინო გიორგაძისთვის ბაკალავრის ხარისხის მინიჭება).

ხარისხის მინიჭების შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის დირექტორის 2007 წლის 28 სექტემბრის №13 ბრძანებით

ნინო გიორგაძისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან. კურსდამთავრებულს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად უნდა მინიჭებოდა სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვოს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნინო გიორგაძისთვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესწორების (კორექტირების) საკითხი და „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ნინო გიორგაძეს **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის"** ნაცვლად მიენიჭოს **„სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი"**.

**აზრი გამოთქვეს:** აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთვრებულ ნინო გიორგაძეს **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის"** ნაცვლად მიენიჭოს **„სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი"**.

**მოისმინეს:** კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

***/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის***

***უფროსი მ. ჩაჟლეიშვილი/***

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩაჟლეიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან

შემოსულია წერილი აკადემიური ხარისხის მინიჭების შუამდგომლობის შესახებ, რომლითაც ითხოვს:

**მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

| № | სტუდენტის გვარი | სახელი | პირადი ნომერი |
|---|---|---|---|
| 1. | ლოლაძე | ლიზა | 18001069651 |

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** **მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

| № | სტუდენტის გვარი | სახელი | პირადი ნომერი |
|---|---|---|---|
| 1. | ლოლაძე | ლიზა | 18001069651 |

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) დირექტორის წერილი აკადემიური ხარისხის მინიჭების შუამდგომლობის შესახებ, რომლითაც ითხოვს:

**მიენიჭოს ეკონომიკის ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) 2022-2023 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

| № | სტუდენტის გვარი | სახელი | პირადი ნომერი |
|---|---|---|---|
| 1. | გოდერძიშვილი | გურამ | 01005038438 |
| 2. | კუპრაშვილი | ლუკა | 01027085347 |
| 3. | კაპანაძე | მედეა | 01011088901 |

4. ყასაბაშვილი ნინო 01001097674

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** **მიენიჭოს** ეკონომიკის კურსდამთავრებულის/ბაკალავრის აკადემიური ხარისხი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) 2023 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

| № | სტუდენტის გვარი | სახელი | პირადი ნომერი |
|---|---|---|---|
| 1. | გოდერძიშვილი | გურამ | 01005038438 |
| 2. | კუპრაშვილი | ლუკა | 01027085347 |
| 3. | კაპანაძე | მედეა | 01011088901 |
| 4. | ყასაბაშვილი | ნინო | 01001097674 |

**მოისმინეს:** კურსდამთავრებულებისთვის დამატებითი სპეციალობის „პედაგოგიკა“ მოხსნის შესახებ

***/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/***

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ 2023 წლის 1 აგვისტოს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე *(იხილეთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №8, 1.08.2023, გვ. 18-19)* ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2023 წლის კურსდამთავრებულებს მარგარიტა იგითხანიანს (პ/ნ: 07701055948) და დიანა შირინიანს (პ/ნ: 32001027806) მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, დამატებითი სპეციალობა პედაგოგიკა და მიეცათ დიპლომი წარჩინებით.

მოგვიანებით, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ბატონო შოთა ფოთოლაშვილის წერილით (№33344/10, 6.11.2023, რომელიც არ მიუღია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს) გაირკვა, რომ 2011-2012 და 2014-2015 წლებში აკრედიტებული

მასწავლებლის მომზადების ბაკალავრიატის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია) აკრედიტებულად უნდა ჩაითვალოს 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტებმა, რომლებმაც პედაგოგიკის პროგრამა დაასრულეს 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ჩათვლით, მათ დიპლომის დანართში შესაბამისად მიეთითებათ ინფორმაცია დამატებითი სპეციალობის სახით გავლილი პროგრამის შესახებ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა მარგარიტა იგითხანიანმა და დიანა შირინიანმა აღნიშნული პროგრამა დაასრულეს 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში. გამომდინარე აქედან, მათ დიპლომში ვერ იქნება მითითებული დამატებით სპეციალობად „პედაგოგიკა“. მათ მიერ გავლილი სასწავლო კურსები კი დიპლომის დანართში მითითებული იქნება თავისუფალი კრედიტების სახით.

ფაკულტეტის საბჭოს მიმართავენ თხოვნით, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში კურსდამთავრებულებს მარგარიტა იგითხანიანს (პ/ნ: 07701055948) და დიანა შირინიანს (პ/ნ: 32001027806) მოეხსნათ დამატებითი სპეციალობა „პედაგოგიკა“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში კურსდამთავრებულებს მარგარიტა იგითხანიანს (პ/ნ: 07701055948) და დიანა შირინიანს (პ/ნ: 32001027806) მოეხსნათ დამატებითი სპეციალობა „პედაგოგიკა“.

**მოისმინეს:** ტურიზმის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტ **საბა ჟორდანიასთვის** 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამის ტურიზმი (ქართულ-ფრანგული, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი იოსებ ხელაშვილი) სწავლების პირველი სამი სემესტრი ტარდება თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეოთხე სასწავლო სემესტრი - ლიონში (საფრანგეთი), ლუმიერის ლიონ 2-ს უნივერსიტეტში.

პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, **სემესტრში 4**, ლუმიერის ლიონ 2-ს უნივერსიტეტში სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს (22 კრედიტი) **და** ფრანგულად ისწავლება ორი სასწავლო კურსი (სულ 8 კრედიტი):

1. თანამედროვე ტურიზმის მიდგომები და მეთოდები ((Valorisation et montage de projets, 4 კრედიტი; ფრანგულად);
2. პროექტის ვალორიზაცია და ორგანიზება ((Outils et approches du tourisme contemporain, 4 კრედიტი, ფრანგულად).

პროგრამის სასწავლო გეგმით სტუდენტმა **სემესტრში 3** თსუ-ში უნდა შეისწავლოს ორი ფრანგულენოვანი სასწავლო კურსი ფრანგულად, რომელსაც უძღვება ლუმიერის ლიონ 2-ს უნივერსიტეტის პროფესორები, კერძოდ:

1. კულტურული ტურიზმის მეთოდოლოგია (ფრანგულად) (Méthodologie du tourisme culturel), პედაგოგები: ისაბელ ლეფორტი, ჟულია შერგო ფრედერიკ ლამანტია (3 კრედიტი);
2. პროექტების დიაგნოსტიკა და შემუშავება - (ფრანგულად) (Diagnostic et montage de projet) პედაგოგები: ისაბელ ლეფორტი, ფრედერიკ ლამანტია, ნატალია მოროზი (3 კრედიტი).

ამჟამად, აღნიშნულ პროგრამაზე სემესტრში 3 ირიცხება სტუდენტი საბა ჟორდანია, რომელსაც უნდა გაევლო ორი ფრანგულენოვანი სასწავლო კურსი. მიმდინარე სემესტრში, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ხერხდება უცხოეთიდან პედაგოგების ვიზიტი. თსუ-ს რეგულაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ დამამთავრებელმა სემესტრის სტუდენტმა აიღოს 40 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსები. გამომდინარე აქედან, ფრანგულ მხარესთან და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სტუდენტმა საბა ჟორდანიამ სასწავლო სასწავლო კურსები - კულტურული ტურიზმის მეთოდოლოგია (ფრანგულად) (Méthodologie du tourisme culturel), პედაგოგები: ისაბელ ლეფორტი, ჟულია შერგო ფრედერიკ ლამანტია (3 კრედიტი); პროექტების დიაგნოსტიკა და შემუშავება - (ფრანგულად) (Diagnostic et montage de projet) პედაგოგები: ისაბელ ლეფორტი, ფრედერიკ ლამანტია, ნატალია მოროზი (3 კრედიტი) - გაიაროს საფრანგეთში ლუმიერის ლიონ 2-ს უნივერსიტეტში;

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა სტუდენტი საბა ჟორდანიასთვის 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის (სულ 36 კრედიტი), არის შემდეგი:

**პროგრამით გათვალისწინებული (სულ 30 კრედიტი)**

1. თანამედროვე ტურიზმის მიდგომები და მეთოდები ((Valorisation et montage de projets, 4 კრედიტი; ფრანგულად)
2. პროექტის ვალორიზაცია და ორგანიზება ((Outils et approches du tourisme contemporain, 4 კრედიტი, ფრანგულად)
3. სამაგისტრო ნაშრომს (22 კრედიტი)

**ინდივიდუალური გეგმით დამატებული სასწავლო კურსები (6 კრედიტი)**

4. კულტურული ტურიზმის მეთოდოლოგია (ფრანგულად) (Méthodologie du tourisme culturel), პედაგოგები: ისაბელ ლეფორტი, ჟულია შერგო ფრედერიკ ლამანტია (3 კრედიტი);
5. პროექტების დიაგნოსტიკა და შემუშავება - (ფრანგულად) (Diagnostic et montage de projet) პედაგოგები: ისაბელ ლეფორტი, ფრედერიკ ლამანტია, ნატალია მოროზი (3 კრედიტი).

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** დაუმტკიცდეს ტურიზმის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტ **საბა ჟორდანიას** 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ **ნესტან გაფრინდაშვილისათვის** სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:

სადისერტაციო თემა - **„გარემოსდაცვითი ზეგავლენის ეკონომიკური ღირებულების შეფასების გამოწვევები საქართველოში"(საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასპექტით),**

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი;**

**/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/**

**აზრი გამოთქვეს:** აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, პროფესორმა რევაზ გველესიანმა, დოქტორანტის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ია ნაცვლიშვილმა

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** **ეკონომიკის** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ნესტან გაფრინდაშვილის** სადისერტაციო თემა **,,გარემოსდაცვითი არასაბაზრო ეფექტების ეკონომიკური ღირებულება და გავლენა საზოგადოების კეთილდღეობაზე"** შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **,,გარემოსდაცვითი ზეგავლენის ეკონომიკური ღირებულების შეფასების გამოწვევები საქართველოში"**(საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასპექტით)

**მოისმინეს:** **ეკონომიკის** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ვალერიანე ჯოხაძის** სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი: სადისერტაციო თემა- **,,მოდელების რისკების შეფასება",** მეცნიერ-ხელმძღვანელი: **პროფესორი იური ანანაიშვილი**

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს: დაუმტკიცდეს ეკონომიკის** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ვალერიანე ჯოხაძეს** სადისერტაციო თემა **,,მოდელების რისკების შეფასება",** მეცნიერ-ხელმძღვანელი: **პროფესორი იური ანანაიშვილი**

**მოისმინეს:** **ბიზნესის ადმინისტრირების** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **პეტრე ადამაძის** სადისერტაციო თემის ცვლილება. **„ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობა და მისი სრულყოფის გზები ორგანიზაციაში„** სახელწოდება ჩამოყალიბდეს: **„ორგანიზაციული კულტურის მართვის თანამედროვე მექანიზმები ქსელურ სასტუმროებში"**;

*/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/*

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სადისერტაციო თემის წარმოდგენილი ცვლილება.

**მოისმინეს:** **ბიზნესის ადმინისტრირების** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ქეთევან ღუდუშაურის** სადისერტაციო ნაშრომის-**,,ფინანსების კონტროლის ფუნქციის თავისებურებანი და განხორციელების პრობლემები თანამედროვე საქართველოში“,** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ეკონომიკის დოქტორი იოსებ არჩვაძე)** შემფასებლის დამტკიცება;

*/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/*

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს:** დოქტორანტ **ქეთევან ღუდუშაურს სადისერტაციო ნაშრომის** შემფასებლად ასოცირებული პროფესორის ირინა გოგორიშვილის ნაცვლად დაუმტკიცდეს ქუთაისის უნივერსიტეტის **პროფესორი პანტელეიმონ კლდიაშვილი.**

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვა

*/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/*

პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვის საპროგნოზო მაჩვენებლები. საბჭოს წევრებს ბიუჯეტის ხარჯვის საპროგნოზო მაჩვენებლები წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად. 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხელფასების ზრდა ასოცირებული და ასისტენტ პროფესორებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის.

**აზრი გამოთქვეს:** აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ, პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნატალია ხარაძემ, სტუდენტმა დავით ნებიერიძემ, სტუდენტმა გიორგი გოროზიამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვის საპროგნოზო მაჩვენებლები წარმოდგენილი სახით დანართის შესაბამისად.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი — გ. ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი — გ. ერქომაიშვილი